

## უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე – მიზნების მიღწევა

ბერგენი, 2005 წლის 19-20 მაისი

უმაღლესი განათლებაზე პასუხისმგებელი ევროპელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე

ჩვენ, ბოლონის პროცესში მონაწილე ქვეყნების განათლების მინისტრები შევიკრიბეთ, რათა განვიხილოთ შუალედური შედეგები და დავსახოთ მიზნები და პრიორიტეტები 2010 წლისათვის. მივესალმებით ამ კონფერენციაზე საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვასა და უკრაინის გაწევრიანებას ბოლონის პროცესში. ჩვენ ყველანი ვიზიარებთ ბოლონის დეკლარაციასა და მინისტრების მომდევნო (პრადისა და ბერლინის) კონფერენციების კომუნიკეებში გამოთქმულ პრინციპებსა და მიზნებს. ვადასტურებთ ჩვენს ვალდებულებას, ბოლონის პროცესის ფარგლებში ჩვენი პოლიტიკის კოორდინირების მეშვეობით 2010 წლისათვის შეიქმნას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე და გამოვთქვამთ მზაობას, დავეხმაროთ ახალ მონაწილე ქვეყნებს ბოლონის პროცესის მიზნების განხორციელებაში.

### I. პარტნიორობა

განსაკუთრებით აღვნიშნავთ ბოლონის პროცესის პარტნიორობის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათი პერსონალისა და სტუდენტების – ცენტრალურ როლს. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობის პირობებში მათი მონაწილეობა ბოლონის პროცესში უფრო მნიშვნელოვანი ხდება - ჩვენ მოვუწოდებთ მათ გააგრძელონ და გააძლიერონ მუშაობა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შესაქმნელად. მივესალმებით ბოლონის პროცესისადმი ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აშკარა მხარდაჭერას. ჩვენ გვესმის, რომ საჭიროა დრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სტრუქტურული ცვლილებების გავლენის ოპტიმიზაციისათვის, და ამგვარად, ევროპისათვის აუცილებელი ინოვაციური სწავლებისა და სწავლის პროცესების დანერგვის უზრუნველყოფისათვის.

მივესალმებით ბიზნესის წარმომადგენლებისა და სოციალური პარტნიორობის მხარდაჭერას და ბოლონის პროცესის ფარგლებში უფრო მჭიდრო თანამშრომლობის იმედი გვაქვს. ასევე ვაფასებთ ბოლონის პროცესის პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების წვლილს.

### II. შეფასება

უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი წარმატება ჩვენი მიზნების მიღწევაში, როგორც ეს დადასტურებულ იქნა სამუშაო ჯგუფის 2003-2005 გენერალურ ანგარიშში, ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის ანგარიშში “ტენდენციები

IV” და სტუდენტთა ევროპული ასოციაციის ანგარიშში “ბოლონია სტუდენტის თვალთ”.

ბერლინის შეხვედრაზე ჩვენ ვთხოვეთ სამუშაო ჯგუფს წარმოედგინა სამ ძირითად პრიორიტეტზე დაფუძნებული შუალედური ანგარიში – აკადემიური ხარისხების სისტემა, ხარისხის უზრუნველყოფა და აკადემიური ხარისხებისა და სწავლის პერიოდების აღიარება. ანგარიშიდან ჩანს, რომ სამივე პრიორიტეტული მიმართულებით მნიშვნელოვანი წარმატება იქნა მიღწეული. აუცილებელია ყველა მონაწილე ქვეყანაში ამ წარმატების უზრუნველყოფა. შესაბამისად, ვხედავთ გამოცდილების გაზიარების აუცილებლობას, როგორც ინსტიტუციურ ასევე სახელმწიფო დონეებზე.

### *აკადემიური ხარისხების სისტემა*

კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ აკადემიური ხარისხების ორსაფეხურიანი სისტემა ფართოდ გავრცელდა, და რომ ქვეყნების უმრავლესობაში სტუდენტთა ნახევარზე მეტი ჩართულია სწორედ ამ ტიპის სწავლებაში. მიუხედავად ამისა, კვლავ არსებობს გარკვეული წინააღმდეგობები ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლისას. უფრო მეტიც, არსებობს ინტენსიური დიალოგის საჭიროება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და სოციალური პარტნიორები, რათა ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულთა დასაქმება გაუმჯობესდეს და შეიქმნას მათთვის შესაბამისი სამუშაო ადგილები და თანამდებობები, მათ შორის საჯარო სამსახურშიც.

ჩვენ ვაღიარებთ და ვიღებთ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის კვალიფიკაციების ძირითად სტრუქტურას, რომელიც სამი საფეხურისგან შედგება (ნაციონალურ კონტექსტში შეიძლება მოიცავდეს გარდამავალ კვალიფიკაციებსაც), თითოეული საფეხურის ძირითად აღწერას, რომელიც სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს ეყრდნობა, და კრედიტების განსაზღვრულ ფარგლებს პირველი და მეორე საფეხურებისათვის. ვიღებთ ვალდებულებას, 2010 წლისათვის შევიძუშაოთ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის კვალიფიკაციების ნაციონალური სტრუქტურები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ძირითად სტრუქტურასთან და მზად ვართ ამ თემაზე მუშაობა 2007 წელს დავიწყოთ. ვთხოვთ სამუშაო ჯგუფს მოგვაწოდოს ანგარიში კვალიფიკაციების ძირითადი სტრუქტურის დანერგვისა და განვითარების შესახებ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თავსებადობა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ძირითად სტრუქტურასა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ფარგლებში კვალიფიკაციის უფრო ფართო სტრუქტურას შორის – ეს უკანასკნელი მოიცავს როგორც ზოგად, ისე პროფესიულ განათლებასა და

წვრთნას, და შემუშავებულია ევროკავშირისა და ბოლონიის პროცესში მონაწილე სხვა ქვეყნების მიერ. ჩვენ ვთხოვთ ევროპის კომისიას სრული კონსულტაცია გაუწიოს ბოლონიის პროცესში ჩართულ ყველა მხარეს და მიაწოდოს ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

### *ხარისხის უზრუნველყოფა*

თითქმის ყველა ქვეყანაში შეიქმნა პირობები ბერლინის კომუნიკეში განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესაქმნელად. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, კერძოდ ისეთ სფეროებში, როგორცაა სტუდენტთა მონაწილეობა და საერთაშორისო თანამშრომლობა. უფრო მეტიც, ჩვენ მოვუწოდებთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს გააგრძელონ ძალისხმევა და აამაღლონ საკუთარი აქტივობა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების სისტემური დანერგვისა და გარე მექანიზმებთან პირდაპირი კორელაციის მეშვეობით.

ჩვენ ვიღებთ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის მიერ შემუშავებულ სტანდარტებსა და მითითებებს. პასუხისმგებლობას ვიღებთ წარდგენილი მოდელი განხილულ იქნეს ხარისხის უზრუნველყოფის ნაციონალური სააგენტოების მიერ საერთო კრიტერიუმების გათვალისწინებით. მივესალმებით ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საერთო ევროპული რეესტრის შექმნის იდეას. ეს უნდა განხორციელდეს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის მიერ ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციასთან, საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპულ ასოციაციასთან და ევროპაში სტუდენტების ეროვნულ კავშირებთან თანამშრომლობით. ჩვენ განსაკუთრებით აღვნიშნავთ ნაციონალურ დონეზე აღიარებული სააგენტოების თანამშრომლობის მნიშვნელობას და ვიმედოვნებთ, რომ ეს გააადვილებს ხარისხის უზრუნველყოფისა თუ აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებების ორმხრივ აღიარებას.

### *აკადემიური ხარისხებისა და სწავლის პერიოდების აღიარება*

უნდა აღინიშნოს, რომ 45 მონაწილე ქვეყნიდან 36-ს უკვე რატიფიცირებული აქვს ლისაბონის კონვენცია. მოვუწოდებთ დანარჩენებსაც დაუყოვნებლივ მოახდინონ კონვენციის რატიფიცირება. ვალდებულებას ვიღებთ, რომ კონვენციის პრინციპები სრულად განხორციელდება და აისახება ნაციონალურ კანონმდებლობაშიც. მოვუწოდებთ მონაწილე ქვეყნებს ყურადღება მიაქციონ აღიარების პრობლემებს, რომლებიც განსაზღვრულ იქნა საინფორმაციო ცენტრების ევროპული ქსელისა და აკადემიური ცნობის ეროვნული საინფორმაციო ცენტრების მიერ. ჩვენ შევიძუშავებთ ნაციონალურ სამოქმედო გეგმას, რომლის მიზანიც იქნება უცხოეთში მიღებული კვალიფიკაციის აღიარების გაადვილება. ეს გეგმა იქნება შემადგენელი ნაწილი თითოეული

ქვეყნის ნაციონალური ანგარიშისა მინისტრების შემდეგი კონფერენციისათვის. ჩვენ მხარს ვუჭერთ ლისაბონის კონვენციის დამატებით ტექსტებს და მოვუწოდებთ ნაციონალურ მთავრობებს და სხვა მონაწილე მხარეებს აღიარონ ერთობლივი აკადემიური ხარისხები, რომლებიც უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ორ ან მეტ ქვეყანაშია მოპოვებული.

კვალიფიკაციების ეროვნულ და ევროპულ სტრუქტურას განვიხილავთ, როგორც უმაღლესი განათლების სისტემაში მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ინტეგრირების შესაძლებლობას. გავაგრძელებთ მუშაობას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვებთანაც იმ მიზნით, რომ შესაძლებლობის ფარგლებში აღიარებულ იქნეს წინასწარი სწავლის პერიოდები, არაფორმალური და არაოფიციალური სწავლის ჩათვლით, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების წინაპირობა და ელემენტები.

### III. მომავლის პრობლემები და პრიორიტეტები

#### *უმაღლესი განათლება და კვლევა*

განსაკუთრებით აღვნიშნავთ უმაღლესი განათლების მნიშვნელობას კვლევების სამომავლო გაუმჯობესებისათვის და კვლევის მნიშვნელობას უმაღლესი განათლების ხელშეწყობისათვის საზოგადოების ეკონომიკური და კულტურული განვითარებისა და სოციალური ერთობის მხარდაჭერის მიზნით. ჩვენ აღვნიშნავთ რომ სტრუქტურული ცვლილებებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ძალისხმევა არ უნდა აკნინებდეს კვლევისა და ინოვაციების გაძლიერებისაკენ მიმართულ ძალისხმევას. ჩვენ აღვნიშნავთ კვლევებისა და კვლევის სფეროში წვრთნის მნიშვნელობას ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის. უკეთესი შედეგების მიღწევის იმედით ჩვენ ვაღიარებთ უმაღლესი განათლებისა და კვლევით სექტორებს შორებს თანხვედრის საჭიროებას, როგორც შესაბამის ქვეყნებს, ასევე უმაღლესი განათლების ევროპული სივრცესა და ევროპის კვლევით სივრცეს შორის.

ამ მიზნების მიღწევისათვის დოქტორანტურის დონის კვალიფიკაცია, რომელიც განისაზღვრება შედეგებზე დაყრდნობით, სრულად უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ძირითად სტრუქტურას. დოქტორანტების განათლების ძირითად კომპონენტს წარმოადგენს ცოდნის გაღრმავება ორიგინალური კვლევის მეშვეობით. სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამებისა და გამჭვირვალე ხელმძღვანელობისა და შეფასების საჭიროების გათვალისწინებით ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ქვეყნების უმრავლესობაში ნორმალური სამუშაო დატვირთვა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურისათვის უნდა შეესაბამებოდეს (დასწრებული სწავლების) 3-4 წელიწადს. მოვუწოდებთ უნივერსიტეტებს

უზრუნველყონ სადოქტორო პროგრამებში ინტერდისციპლინური მიდგომა და ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, რითაც ისინი შრომის ბაზრის მოთხოვნებს უკეთ დააკმაყოფილებენ. უნდა მივალწიოთ დოქტორანტურაში მსწავლელთა რაოდენობის ზრდას უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში მკვლევართა კარიერების უზრუნველყოფის გზით. მესამე საფეხურის პროგრამის მონაწილეებს ჩვენ განვიხილავთ როგორც სტუდენტებად და ასევე მკვლევარებად კარიერის ადრეულ ეტაპზე. ვთხოვთ სამუშაო ჯგუფს უნივერსიტეტების ევროპულ ასოციაციასთან და ყველა სხვა დაინტერესებულ მხარესთან ერთად მოამზადოს ანგარიში სადოქტორო პროგრამების განვითარების ძირითადი პრინციპების შესახებ, რომელიც წარედგინება მინისტრების კონფერენციას 2007 წელს. სადოქტორო პროგრამების ზედმეტი რეგულირება თავიდან უნდა იქნეს აცილებული.

### *სოციალური განზომილება*

ბოლონიის პროცესის სოციალური განზომილება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის განუყოფელი ნაწილი და ამ სივრცის მიმზიდველობის და კონკურენტუნარიანობის აუცილებელი წინაპირობაა. შესაბამისად, ჩვენ კიდევ ერთხელ ვიღებთ ვალდებულებას უზრუნველყოთ უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასათვის, და ხაზს ვუსვამთ სტუდენტებისათვის შესაბამისი პირობების შექმნის საჭიროებას, რათა მათ სოციალური თუ ეკონომიკური მიზეზების გამო სწავლის დასრულების პრობლემები არ შეექმნათ. სოციალური განზომილება მოიცავს სტუდენტების (განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ჯგუფებიდან) დასახმარებლად მთავრობის მიერ გაწეულ ღონისძიებების ფინანსურ და ეკონომიკურ ასპექტებს და ასევე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მათი მითითებებითა და საკონსულტაციო მომსახურებით უზრუნველყოფას.

### *მობილობა*

ჩვენ ვაღიარებთ, რომ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობა მონაწილე ქვეყნებს შორის ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ვითვალისწინებთ იმ უამრავ პრობლემას, რომელთა დაძლევა მოგვიწევს, კიდევ ერთხელ ვიღებთ ვალდებულებას ერთობლივი ძალისხმევით დავაჩქაროთ გრანტებისა და სესხების გადატანა, იმისათვის რომ უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში მობილობა რეალობად იქცეს. უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ძალისხმევა მობილობის ხელშემშლელი დაბრკოლებების დასაძლევად, იმით რომ გავაადვილოთ ვიზებისა და მუშაობის უფლების მიღება და წავახალისოთ მობილობის პროგრამებში მონაწილეობა. მოვუწოდებთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და სტუდენტებს სრულად გამოიყენონ მობილობის პროგრამები, მხარი დაუჭირონ ასეთი პროგრამების ფარგლებში საზღვარგარეთ სწავლის პერიოდების აღიარებას.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მიმზიდველობა და მსოფლიოს სხვა რეგიონებთან თანამშრომლობა

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე ღია და მიმზიდველი უნდა იყოს მსოფლიოს სხვა რეგიონებისთვისაც. განათლება ყველასათვის – ამ მიზნის მიღწევისას ჩვენი წვლილი უნდა ემყარებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპს და უნდა შეესაბამებოდეს ინტერნაციონალური უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის მითითებების შემუშავების მიმდინარე საერთაშორისო საქმიანობას. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობისას აკადემიური ფასეულობები უნდა ჭარბობდეს.

უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეს ჩვენ აღვიქვამთ როგორც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების უმაღლესი განათლების სისტემების პარტნიორს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის ბალანსირებულ მობილობას და კოოპერაციას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. ხაზს ვუსვამთ ინტერკულტურული ურთიერთგაგებისა და პატივისცემის მნიშვნელობას. მეზობელ რეგიონებთან რეფორმების პროცესის შესახებ გამოცდილების გაზიარებით ჩვენ ველით ბოლონის პროცესის აღქმის გაუმჯობესებას სხვა კონტინენტებზე. განსაკუთრებით აღვნიშნავთ დიალოგის საჭიროებას ორმხრივი ინტერესის საკითხებზე. ვხედავთ პარტნიორი რეგიონების იდენტიფიკაციისა და ამ რეგიონებთან გამოცდილებისა და იდეების გაცვლის გაძლიერების საჭიროებას. ჩვენ მოვუწოდებთ სამუშაო ჯგუფს შეიმუშაოს და შეათანხმოს სტრატეგია გარე განზომილებებისათვის.

#### IV. პროგრესის მიმოხილვა 2007 წლისათვის

ვავალებთ სამუშაო ჯგუფს გააგრძელოს და გააღრმავოს მუშაობა და შედეგები დროულად მოახსენოს მინისტრთა შემდეგ კონფერენციას. ჩვენ ველით რომ ეს მიმოხილვა და ანგარიში დაეფუძნება შესაბამის მეთოდოლოგიას და გააგრძელებს ისეთი სფეროების შესწავლას, როგორცაა აკადემიური ხარისხების სისტემა, ხარისხის უზრუნველყოფა და აკადემიური ხარისხებისა და სწავლის პერიოდების აღიარება; და რომ 2007 წლისათვის ჩვენ უკვე ძირითადად დასრულებული გვექნება ამ სამი გარდამავალი პარამეტრის დანერგვა.

კერძოდ, ყურადღება უნდა მივაქციოთ პროგრესს შემდეგ სფეროებში:

- ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და მითითებების დანერგვა, ისე როგორც ეს მოცემულია ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის ანგარიშში;
- კვალიფიკაციების ნაციონალური სტრუქტურების დანერგვა;

- ერთობლივი აკადემიური ხარისხების მინიჭება და აღიარება, დოქტორანტურის დონის ჩათვლით;
- უმაღლეს განათლებაში მოქნილი სასწავლო გზების შემუშავება, წინა სწავლების აღიარების ჩათვლით.

ჩვენ ასევე ვავალებთ სამუშაო ჯგუფს წარმოადგინოს მონაცემები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის შესახებ, ასევე მონაწილე ქვეყნებში სტუდენტების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, როგორც მომავალი მიმოხილვის და ანგარიშის საფუძველი მინისტრების შემდგომი კონფერენციისათვის. მომავალი მიმოხილვა უნდა მოიცავდეს სოციალურ განზომილებას, ისე როგორც ეს ზემოთ იყო განმარტებული.

## V. მზადება 2010 წლისათვის

ბოლონის პროცესის მიღწევებზე დაყრდნობით ჩვენ გვსურს შევქმნათ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე, რომელიც დაეფუძნება ხარისხსა და გამჭვირვალობას. ჩვენ უნდა წავახალისოთ ჩვენი მდიდარი მემკვიდრეობა და კულტურული მრავალფეროვნება რომ მან სათანადო წვლილი შეიტანოს ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების შენებაში. ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ დავიცვათ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი უმაღლესი განათლების სფეროში კომპლექსური თანამედროვე საზოგადოების კონტექსტში. რადგანაც უმაღლესი განათლება კვლევის, განათლებისა და ინოვაციების გზაჯვარედინზეა, ის ასევე ევროპის კონკურენტუნარიანობის საფუძველს წარმოადგენს. ვუახლოვდებით რა 2010 წელს, უნდა უზრუნველყოთ უმაღლესი განათლების ავტონომიურობა შეთანხმებული რეფორმების გატარების საქმეში, და ვაღიარებთ სასწავლებლების მდგრადი დაფინანსების საჭიროებას.

უმაღლესი განათლების ევროპის სივრცე სტრუქტურირებულია სამი საფეხურისაგან, სადაც თითოეულ დონეს აქვს ფუნქცია მოამზადოს სტუდენტი შრომის ბაზრისათვის, კომპეტენციის შემდგომი განვითარებისა და აქტიური მოქალაქეობისათვის. კვალიფიკაციების ძირითადი სტრუქტურა, ხარისხის უზრუნველყოფის შეთანხმებული სტანდარტები და მითითებები და აკადემიური ხარისხებისა და სწავლის პერიოდების აღიარება წარმოადგენს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ძირითად სტრუქტურულ ელემენტებს.

მხარს ვუჭერთ ბერლინში ჩამოყალიბებულ სამუშაო სტრუქტურებს, საერთაშორისო განათლების პან-ევროპული სტრუქტურის, უმაღლესი განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციისა და ევროპის ინდუსტრიისა და დამსაქმებლების კონფედერაციის კავშირის დამატებით, როგორც სამუშაო ჯგუფის კონსულტანტი წევრებისა.

რადგანაც ბოლონის პროცესის შედეგი უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნა არის, ჩვენ უნდა განვიხილოთ შესაბამისი ღონისძიებები, რომ უზრუნველყოთ 2010 წლის შემდეგ უწყვეტი განვითარება და მივმართავთ თხოვნით სამუშაო ჯგუფს, შეისწავლოს ეს საკითხები.

მინისტრების შემდეგი კონფერენცია ჩატარდება 2007 წელს ლონდონში.

45 ქვეყანა მონაწილეობს ბოლონის პროცესში და მონაწილეობს სამუშაო ჯგუფში: ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელგია, (ფლამანდური და ფრანგული თემები), ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, კიპრი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საქართველო, გერმანია, საბერძნეთი, ვატიკანი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლინხენშტეინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, მოლდოვა, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, სერბეთი და მონტენეგრო, სლოვაკეთის რესპუბლიკა, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია“, თურქეთი, უკრაინა და დიდი ბრიტანეთი. დამატებით ევროკომისია არის სამუშაო ჯგუფის წევრი ხმის უფლებით.

ევროპის საბჭო, ევროპის სტუდენტების ეროვნული კავშირი (ESIB), საერთაშორისო განათლების (EI) პან-ევროპული სტრუქტურა, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია (ENQA), ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA), უმაღლესი განათლების დაწესებულებების ევროპული ასოციაცია (EURASHE), უმაღლესი განათლების ევროპული ცენტრი (UNESCO/CEPES), ევროპის ინდუსტრიული კავშირისა და დამკირავებელთა კონფედერაციები (UNICE), წარმოადგენენ სამუშაო ჯგუფის კონსულტანტ წევრებს.